თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს
შორის

ქ. ბათუმი

---- დეკემბერი, 2024 წელი

ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბხსუ“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეიმურაზ კეჟერაძის მიერ (შემდგომში „მხარეები“), თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი, ამოცანები და მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის თანამშრომლობა, ერთობლივი **სადოქტორო *საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“*** (შემდგომში „პროგრამის“) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
2. ურთიერთთანამშრომლობის მიზანია, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, განათლების სფეროში არსებული ცოდნის გაანალიზება და გავრცელება, განათლების სფეროში არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება.
3. დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების მიზნით, მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).
4. მემორანდუმის ამოცანებია:

ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობა;
ბ) ერთობლივი კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
გ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება;
დ) საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთის კუთვნილი ბაზითა და საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობა მხარეთა წინასწარი თანხმობის საფუძველზე;
ე) ეთიკური ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კვლევების განხორციელებისთვის ხელშეწყობა;

3) კვლევის შედეგების გაზიარება-გაცნობა.

5. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას მეორე მხარის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები, დაიცვას სტუდენტების, მოსწავლეების, თანამშრომელების პირადი მონაცემების კონფიდენციალობა და სხვა უფლებები.

6. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

3. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი ინახება მხარეებთან.

2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158
მისამართი: 35/32 ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა, ბათუმი
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
მისამართი: ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა ფშაველას ქ. №19/32
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

პროფ. მერაბ ბალავაძე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პროფ. თეიმურაზ კეჟერაძე, რექტორი